

# ყვარელი

გამოცემის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

## ფერისცვალება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტისი



### ყველა ქრისტიანებო უნდა ზიდოს საკუთარი ჯვარი, რომ უფალთან ამაღლდეს...

19 აგვისტოს მართლმადიდებლური ეკლესია მაცხოვრის ფერისცვალების დღესასწაულს აღნიშნავს, რომელიც 12 უდიდეს დღესასწაულთა რიცხვში შედის და უფალი იესო ქრისტეს ამკვეცი ნიურა ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდს უკავშირდება. რა მნიშვნელობა აქვს ამ დღეს ქრისტიანის ცხოვრებაში, როგორ უნდა აღნიშნოს მან ფერისცვალების დღესასწაული, ამის შესახებ გვესაუბრება ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ბენიამინ ნიხორიძე.

**ფერისცვალების დღესასწაული ერთ-ერთი ყველაზე აღმატებულია. რა მნიშვნელობა აქვს ამ დღეს ქრისტიანის ცხოვრებაში?**

– წმიდა მამების თქმით, ქრისტიანის ცხოვრებაში არსებობს საკუთარი გოლგოთა, ე. ი. ჯვარი და სატანჯველი და საკუთარი თაბორი, ე. ი. უფალთან შეხვედრა. თაბორი არამიწიერი ნეტარებისა და აღფრთოვანების წუთებია და იმისთვის ეძლევა ადამიანს, რომ ქრისტიანულმა სულმა მანამდე მშვიდად მიიღოს და აითმინოს თავისი გოლგოთა, რომელიც აუცილებელია ჩვენი გულუბნობიდან ვიწებებისა და ცოდვების ამოსაძირკვად.

სასუფევლის დასამკვიდრებლად და ქრისტეს ნათელში დასაბრუნებლად, ადამიანებს დასჭირდებათ ცხოვრების-

სეული თავგანწირვა, მოციქულებრივი ღვაწლი და მონაწილეობა ალსასრული ყველა ქრისტიანმაც უნდა ზიდოს საკუთარი ჯვარი, რომ უფალთან ამაღლდეს და იხილოს მისი ღვთაებრივი ნათელი. მაცხოვრისათვის თაბორმა წინ უსწრო გოლგოთას, ხოლო მონაწილეთა და ყოველი ქრისტიანისათვის კი პირიქითაა, გოლგოთა წინ უსწრებს თაბორს.

თავისი ბრწყინვალე ფერისცვალებით მაცხოვრებელმა თავის მოციქულებს და მათთან ერთად, ჩვენ, ყველა მორწმუნეს, ცხადად დაგვანახა საიდუმლო მომავალი ცხოვრებისა, მდგომარეობა განმტოვებული და განმარტებული ადამიანისა; რომ ვინც პეტრეს, იაკობისა და იოანეს მსგავსად, არ აპყვება უფალს ზეცოური მწვერვალებისაკენ და არ ამაღლდება, ღირსიც ვერ გახდება ღვთაებრივი დიდების ხილვისა და იმ პირველყოფილი სინოდით შემოსვისა, რომელიც დაამკვიდრებს ადამიანს სასუფეველში.

ფერისცვალების დღესასწაული პირდაპირ კავშირშია ადამიანის განმტოვებასთან და სრულყოფასთან. ფერისცვალება ნიშნავს სინანულსა და ცხოვრების წესის შეცვლას, ნიშნავს თაბორზე ასვლას და ურთიერთობას იესოსთან და მასთან მარადიულ ნეტარებას.

გაგრძელება მე-3 გვ. -ზე

## საქართველოს პარლამენტის დეპუტატები ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უხვდნენ

5 აგვისტოს, ქ. ყვარლის, სოფლების შილდისა და ენისლის მოსახლეობას კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე თამარ ჩუგოშვილი, საქართველოს მასშობრივი დეპუტატი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი, საქართველოს პარლამენტის ლაგოდეხისა და ყვარლის მაჟორიტარ დეპუტატი გურამ მაჭარაშვილი, შრომის, დევნილთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მამუკა ცოტიაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ქვეციშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი შეხვედრენ და ისაუბრეს იმ საკითხებზე, რომელთა მოგვარება პრიორიტეტულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.



შეხვედრა გახსნა კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა და დამსწრე საზოგადოებას მოუწოდა გულახდილი დიალოგი შემდგარიყო იმ პრობლემებზე, რომელთა დადებითად გადაწყვეტა შეცვლის მათ ყოველდღიურ ცხოვრებას უკეთესობააკენ.

შეხვედრაზე მოსულ მოსახლეობას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ესაუბრნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე თამარ ჩუგოშვილი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი

ების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი.

პარლამენტარებთან დიალოგში მოსახლეობამ წამოაყენა საკითხები, რომლებიც შეეხებოდა საავადმყოფოს რეაბილიტაციული, სამშობიარო განყოფილებების ფუნქციონირების საჭიროებას, საბავშვო ბაღების შედგენა ანაზღაურების გაზრდას, რთველს, ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და სახელმწიფო პროგრამების სიკეთეებს, რაზედაც მიიღეს სრულყოფილი პასუხები.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიმდინარეობს სასწრაფო დახმარების ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, რომელსაც ეყოლება ახალი ავტომობილები, მათ შორის რეანომობილიც და ექნება საჭირო სამედიცინო აღჭურვილობა.

## სკორტულ-კულტურული ღონისძიებების კვირული ყველა კმაყოფილი დარჩა

უკვე მეორე წელია, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით, აგვისტოს თვეში, ილიას ტბაზე იმართება ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებული სკორტულ-კულტურული ღონისძიებების კვირული.

კვირულის ფარგლებში ეწყობა სხვადასხვა აქტივობები: მარათონი, მინი ფეხბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, დომინო, ნარდი. ტარდება ასევე კონცერტი და პარალელურად ეწყობა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, გაყიდვა და ღვინის დეგუსტაცია.

ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციასთან ერთად, ეს კვირული მნიშვნელოვანია ტურისტების დაინტერესების მხრივაც.

წელს სკორტულ-კულტურული კვირულის ფარგლებში, სხვადასხვა საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებებთან ერთად ყვარელში, საქართველოს პარლამენტის წევრებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომლებს შორის ამხანაგური საფეხბურთო მატჩი გაიმართა ყვარლის ციხე-გალავნის სტადიონზე.

საფეხბურთო მოედანზე ვიზილეთ საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე, ლაგოდეხისა და ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატი



ტი გურამ მაჭარაშვილი, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ყაველაშვილი, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე, გიორგი კახიანი და სხვები.

მატჩის პირველ ტაიმში ყვარლებმა მიაღწიეს წარმატებას და ვალერი გოცასიძის ჩინებული თავური დარტყმით დაინიანურდნენ, ხოლო ვანო ტაკაშვილმა

ანგარიში ორამდე გაზარდა. პარლამენტარებმა თამაშის ტემპს მოუმატეს და პირველი ტაიმი ფრედ 2:2 დაამთავრეს.

მეორე ტაიმში ორივე გუნდის ფეხბურთელები ცდილობდნენ ანგარიშს გაზრდას, მაგრამ საბოლოოდ შეხვედრის მინურულს საყაიმო ანგარიში 3:3 დაფიქსირდა.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

## ილია მართლის ხსენების დღეს მის საგვარეულო კოშკთან პარაკლისი ჩატარდა



2 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმ. ილია მართლის ხსენებას, სრულიად საქართველოს კათალიკოს – პატრიარქის – ილია II-ის ანგელოზის დღესა და წინასწარმეტყველ ელია თეზბიტელის ხსენებას აღნიშნავს. აღსანიშნავი და საინტერესო ფაქტია, რომ ეს დღე ილიას სიცოცხლეში აღინიშნებოდა მის ანგელოზის დღედ და

რამდენადაც ცნობილია, ძალიან უყვარდა საქართველოს უკერძო მფევეს. 20 ივლისს (ახალი სტილით 2 აგვისტოს) არის ელია თეზბიტელის ხსენების დღე. დიდი ილია ყოველთვის პატივს მსგავსებდა სტუმრებს და განსაკუთრებით აღნიშნავდა ამ დღესასწაულს.

დღესასწაულთან დაკავშირებით, ტრადიციულად ი.ჭაჭაჭაძის სახელობის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის ეზოში პარაკლისი ჩატარდა, ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მოძღვარმა, დეკანოზმა – მამა ბენიამინმა.

პარაკლისს შრეელთან ერთად ესწრებოდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ქვეციშვილი, მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი და მერიის სხვა წარმომადგენლები. ერთერთი გამორჩეული დღესასწაულია ქართველთათვის ილია მართლის ხსენების დღე. დაე, მისი ლოცვითა და მისი იდეებით გაიმარჯვოს ჩვენმა სამშობლომ!

ია გიგიაშვილი













### ბანცხალება

შვილები: ქეთევანი, ავთანდილი და ტარიელი; შვილიშვილები: ავთანდილი, ერეკლე, შალვა, დავითი, ზვიადი და ანრი მალაფაერიძეები; სიძე ვაჟა მალაფაერიძე; რძლები: ინგა ხაჩიძე და ნონა ხეჩია; შვილთაშვილები: ლიანა, გაბრიელი, ავთანდილი და ტარიელი ღრმა მზუხარებით იუსყებიან, რომ გარდაიცვალა ზინაიდა კრიჭიაშვილი-გრატიაშვილისა.

დაკრძალვა ქ. ყვარელი, 10 აპრილი.

## შ ა მ ო ს ა თ ო ს ო შ ა რ ი

### ვასილ გიორგის ქა კევილიშვილი

ღირსეული ადამიანის გარდაცვალებას ყოველთვის ახლავს დიდი ტკივილი და ცრემლები, სედა და უსაზღვრო მზუხარება. ასეთი პიროვნება გახლდათ ვასილ კევილიშვილი. ვერავინ წარმოიდგენდა თუ ასე მოულოდნელად მიგვატოვებდა და ზეციურ საქართველოში დაიდებდა სამყოფელს.

იგი გამოირჩეოდა საუკეთესო აზროვნებით, მჭევრმეტყველებით, შემოქმედების დიდი უნარით, ახლობლების, თანამშრომლების მიმართ განსაკუთრებული ყურადღებანიანობითა და თანადგომით.



ლები და შვილიშვილები, რადგან წუთი-წუთი ვასილ გიორგის ქა კევილიშვილისთვის, თანამშრომლებისთვის, თანამშრომლებისთვის, სამეგობროსათვის არსოდა ღვაწლია.

შვილები: ქეთევანი, ავთანდილი, ტარიელი და შვილიშვილები: ავთანდილი, ერეკლე, შალვა, დავითი, ზვიადი და ანრი მალაფაერიძეები.

**ალექსანდრა გივილიშვილი**

დავკარგეთ სამუზეუმო საქმიანობის შესანიშნავი სპეციალისტი, დაულაღვი, შეუპოვარი, გულწრფელი და კეთილშობილი პიროვნება, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი მიუძღვნა გრემ-ნიკრესის მუზეუმის აღორძინებას და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას.

სიკეთეს, სიყვარულსა და სიბოროს ახსივებად, გაჭირვებულს ყოველთვის მხარში ედგა, სტუმარ-მასპინძლობაც კარგი იყო. მასთან ქეთვი და მოღებვა ყველას უხაროდა. სწორედ ამ თვალსაწიერად ადამიანური თვისებების გამო მოიპოვა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა არა მარტო შიდაში, არამედ რაიონის და ქვეყნის მასშტაბითაც.

ძნელი წარმოდგენა იმისა, რომ ვასილ კევილიშვილი ჩვენს რიგებში აღარაა, მას ხომ ჯერ კიდევ შეეძლო ოჯახისათვის, ახლობლებისათვის დახმარება და კეთილი საქმეების კეთება.

მაგრამ შენით იამაყებენ შენი შვი-



### 35 მედიკამენტი, რომლებსაც პაციენტები 1 ლარად შეიძენენ

ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ხელმისაწვდომი ფასები წამლებზე – ამ საკითხზე პრემიერიმინისტრმა მამუკა ბახტაძემ თბილისის საერებო უნივერსიტეტის სტრუქტურულ განყოფილებაში, სადა იმყოფება მისივე თქმით, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო 35 დასახელების მედიკამენტს პაციენტები 1 ლარად შეიძენენ ქვეყნის მასშტაბით 118 აფთიქში.

ეპიდემიისა და პარკინსონის დაავადებები. ჩვენ უკვე ორი წელია რაც ავამოქმედეთ ქრონიკული დაავადებების ეს პროგრამა და დაახლოებით 60 ათასზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა ამ პროგრამით, მაგრამ, ბუნებრივია, ეს არ იყო საკმარისი, აქედან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ აღარ მოხდებოდა დიფერენცირება და სოციალურად დაუცველ პირებთან ერთად, ჩვენი პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჩვენი მოქალაქეები და სხვა ჯგუფები შეძლებენ ისარგებლონ ამ მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამით.

- გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებები;
- ფლტვის ქრონიკული დაავადებები;
- დიაბეტი (ტიპი II);
- ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები;
- ეპილეფსია;
- პარკინსონის დაავადება

აქვე მსურს, ყველას შეგვირდეთ, რომ აღნიშნული პროგრამა გაგრძელდება და ეს სიაც გაფართოვდება. ეს არის პრიორიტეტული დაავადება, რომელიც არის მიცემული ჯანდაცვის სამინისტროს მისამართით.

სწორედ აღნიშნული დაავადებების მქონე პაციენტები მიიღებენ 35 დასახელების წამალს 1 ლარად.

უკვე დღეიდან, საქართველოს მთელი მასშტაბითაა ამოქმედებული აღნიშნული პროგრამა და ჩვენს მოქალაქეებს შეუძლიათ ქვეყნის მასშტაბით 118 აფთიაქში შეიძინონ აღნიშნული პრეპერატები. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისთვის, რომ ჩვენ დავიცავთ სისტემური მოგვარება იმ პრობლემების, რომლებიც არის ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენს ეკონომიკაში. მე პირადად ამ პრობლემას განვიხილავ სიღარიბეთთან ბრძოლის ერთ-ერთ ნაბიჯად, ვინაიდან ბოლო კვლევების თანახმად, ჩვენი მოქალაქეების შემოსავლის დიდი ნაწილი მიდის მედიკამენტებისა და წამლების შეძენაში. ეს ასე არ გაგრძელდება, ჩვენ ამ პროგრამით და იმ ნაბიჯებით, რომლებიც გადაიდგება, თამამად შევძლებთ განვაცხადოთ, რომ ჩვენი პენსიონერებისთვის და სხვა მოქალაქეებისთვის მედიკამენტების შეძენის ხარჯი ფაქტობრივად იქნება მინიმალური“ – განაცხადა ბახტაძემ.

ამ წამლებს შორისაა: ენალარელი, ლოსარტანი, მეტოპროლოლი, ამოდარიონი, ნებივოლოლი, ატორვასტატინი, კლოპიდოგრელი, იზოსორბიდიდის მონიტრინგი, ფუროსემიდი, გლომეპრიდი, თამაზოლი, ბუდესონიდი, მეთილპრედნიზოლონი, ლევეტირაცეტიამი, კარბამაზეპინი, ნატრიუმის ვალპროატი, ლამოტირიჯინი და სხვები.

ჩვენი პენსიონერები და სხვადასხვა ჯგუფები შეძლებენ სიმბოლოურად ერთ ლარად შეიძინონ მათთვის აუცილებელი მედიკამენტები.

პროგრამა მოიცავს ყველაზე უფრო გავრცელებულ დაავადებებს, როგორებიცაა გულსისხლძარღვთა, ფარისებრი ჯირკვლის, ფლტვის, დიაბეტის,

მრავალძარღვას ხალხურ მედიცინაში ფართოდ და მრავალმხრივ გამოიყენება აქვს. როგორც სამკურნალო მცენარე, იგი ცნობილი იყო ჯერ კიდევ X საუკუნეში, არაბეთსა და სპარსეთში. მრავალძარღვას შემადგენლობაში შედის უამრავი ნივთიერება: ორგანული მჟავა, პოლისაქარიდი, ფლავონოიდი, კაროტინოიდი, K და C ვიტამინები და ბევრი სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება. ამგვარი შემადგენლობის წყალობით, მრავალძარღვას ნახარშებს, ნაყენებსა და ნვენებს უამრავი სასარგებლო თვისება აქვს:

ანთების საწინააღმდეგო და ქრონიკული შემახორცებელი – მცენარის ახალი წვენი და ფოთლები ქრონიკულიდან სისხლდენის აჩერებს, ანთების წარმოქმნას ბლოკავს, გააჩნია ტკივილგამაყუჩებელი და ანტისეპტიკური თვისებები. მრავალძარღვას წვენი შეუცვლელია წყლულოვანი ანთებისა და დიდხანს შეუზღუდველი ქრონიკული დროს – ის აჩქარებს ქრონიკულიდან მკვდარი ისეთი-კოციტების და ბაქტერიების გამოდევნას და ქსოვილების სწრაფ შეზოცილებას უწყობს ხელს;

ანთების საწინააღმდეგო – მრავალძარღვას წვენი გამოიყენება კუჭისა და ნაწლავების დაავადებებისას, მას ანთების საწინააღმდეგო და ბაქტერიციდული თვისებები აქვს, ანესტიკებს ქოლესტერინის ცვლას;

სასუნთქო გზების დაავადების დროს – მრავალძარღვას ნახარშები ნახველს ათხევს და მისგან ბრონქებს წმენდს. მრავალძარღვას ნაყენებს მშრალი ხველის, ყელის ტკივილისა და გართულბული ყლაპვის დროსაც იყენებენ. ის ეფექტურად სპობს ანთებას, დაავადების გამოწვევებზე ბაქტერიებსა და ვირუსებს;

წერტილი ალბილობების, შფოთიანობისა და უძილობის დროს – მრავალძარღვას ნახარშები და ნაყენები, ასევე, გამოიყენება ძილისმომგვრელ საშუალებად, ამშვიდებს წერტილ სისტემას, მომატებულ ალგზნებადობას, კურნავს ნერვოზების მსუბუქ ფორმებსა და სხვა სახის წერტილ ალბილობებს;

გულ-სისხლძარღვთა დაავადების დროს – მრავალძარღვა ანესტიკებს მომატებულ არტერიულ წნევას, ხსნის შესივებს, მკურნალობს გულისა და სისხლძარღვების დაავადებებს.

ქრონიკული დაავადების სამკურნალოდ – მრავალძარღვას ცოცხალი ფოთლების გარეგანად გამოყენება ძალიან ეფექტურია ქრონიკული, ფურუნგულიებისა (ძირმავარი) და წყლულების სამკურნალოდ. ამისთვის საჭიროა, მცენარის ახალმოკრეფილი ფოთლის ხელით გასრესა და სისხლმდინარე ქრონიკულად, ნაკურზე ან შესივებზე დადებმა. ამ დროს, ქრონიკულად სრულიად ინფიციურად ინფექციისგან და წყდება სისხლდენა. მრავალძარღვას ფოთლის გამოყენება მხოლოდ ცოცხალი სახით შეიძლება, ამიტომაც ის მოიხმარება მხოლოდ იმ პერიოდში, როდესაც მისი დაკრეფა შესაძლებელია. წელიწადის სხვა დროს კი მისგან დამზადებული მალაბო გვიშველის.

### მრავალძარღვას ნაყენი 100-ზე მეტ დაავადებას შველის!



მცენარის ფესვები კბილის ტკივილის დროს გამოიყენება – საკმარისია, ფესვები დავსრისოთ და მიღებული ფაფისებრი მასა მტკივან კბილზე დავიდეთ.

ახლო მრავალძარღვას სიროფის მიღება უკუჩვენებია:

ახლო მრავალძარღვას სიროფის მიღება უკუჩვენებია:

ახლო მრავალძარღვას სიროფის მიღება უკუჩვენებია:



გადად, გამაჯანსაღებლად მოქმედებს, ამყარებს იმუნიტეტს და ფლტვებსა და შინაგან ორგანოებში მიმდინარე დაშლილ პროცესებს ებრძვის. უწყაფფობის დროს, ის ეხმარება როგორც ქალებს, ასევე, კაცებს. განსაკუთრებით სასარგებლოა პრობლემური მენსტრუაციის, იგულაციისა და კლიმაქსის დროს.

წონიანობის (შესქველებული ნახველის) დროს: 4 ს/კ დაქუცმაცებულ ფოთლებს დაახლოებით 0, 5 ლ მდლარე წყალი და გააჩერეთ 4 საათი. მიიღეთ 1/2 ჭიქა დღეში 4-ჯერ.

წონიანობის (შესქველებული ნახველის) დროს: 4 ს/კ დაქუცმაცებულ ფოთლებს დაახლოებით 0, 5 ლ მდლარე წყალი და გააჩერეთ 4 საათი. მიიღეთ 1/2 ჭიქა დღეში 4-ჯერ.

წონიანობის (შესქველებული ნახველის) დროს: 4 ს/კ დაქუცმაცებულ ფოთლებს დაახლოებით 0, 5 ლ მდლარე წყალი და გააჩერეთ 4 საათი. მიიღეთ 1/2 ჭიქა დღეში 4-ჯერ.

წონიანობის (შესქველებული ნახველის) დროს: 4 ს/კ დაქუცმაცებულ ფოთლებს დაახლოებით 0, 5 ლ მდლარე წყალი და გააჩერეთ 4 საათი. მიიღეთ 1/2 ჭიქა დღეში 4-ჯერ.

წონიანობის (შესქველებული ნახველის) დროს: 4 ს/კ დაქუცმაცებულ ფოთლებს დაახლოებით 0, 5 ლ მდლარე წყალი და გააჩერეთ 4 საათი. მიიღეთ 1/2 ჭიქა დღეში 4-ჯერ.

# ფოლკლორული ფესტივალი ყვარელში



26 ივლისის საღამო დაუფინყარი დარჩება ყვარელელების მესხიერებაში, რადგანაც საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა უმაღლეს დონეზე წარმოაჩინეს ეროვნული სიმღერები და ცეკვები, რასაც თან ახლდა მასპინძელთა მხრიდან მონონების შეხახილები „ბრაო“ და თითოეული ანსამბლის

პალიტეტი. ასე გაგრძელდა სამი წლის განმავლობაში. 2019 წელს გადაწყვიტეთ ფესტივალის არეალის გაფართოება და სამეგრელოს რეგიონს, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერთან, ბატონ როსტომ სესიაშვილთან შეთანხმების საფუძველზე ერთი დღით დაემატა ყვარელის მუნიციპალიტეტი.

ულად საზეიმოდ გაიხსნა მარტივის მუნიციპალიტეტში და 23-24-25 ივლისს გაგრძელდა ხონის, აბაშის და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტებში. როგორც თქვენთვის ცნობილია, ფესტივალის მეხუთე დღეს მასპინძლობდა ყვარლის მუნიციპალიტეტი, 27 ივლისს კი ქალაქ თბილისის მერიის უშუალო მხარდჭერით ჩვენს დედაქალაქში მოვანყვით ფესტივალის საზეიმო დახურვა. 28-29 ივლისს სტუმრები 110 წევრის შემადგენლობით, ქართული კულტურით და სტუმართ-მასპინძლობით აღფრთოვანებული გაეცაილეთ თავიანთ ქვეყნებში.

**— კმაყოფილი თუ დარჩნენ ფესტივალის მონაწილეები საქართველოში ყოფნით?**  
— ფესტივალმა მილიანობაში, თავისი არსებობის მოკლე მონაკვეთში, დიდი აღიარება მოიპოვა მსოფლიოს მასშტაბით. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ისიც, რომ მომავალი წლის ფესტივალზე, რომელიც ტრადიციულად გაიმართება 2020 წლის ივლისის თვეში, სამ ქვეყანას უკვე დაჯავშნული აქვთ ადგილი მონაწილეობის მისაღებად...

**— კმაყოფილი თუ დარჩნენ ყვარელში განული მასპინძლობით?**  
— როგორც ველოდით, ყველა სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად ყვარელიც ძალიან სტუმართმოყვარე გამოდგა.



## ...უდავოა, რომ მსგავსი ტიპის საზაფხულო ბანაკების არსებობა აუცილებელია

ზაფხულის არდადეგების საინტერესოდ გატარება ყველა ბავშვისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია. დასვენების გარდა, მათ სჭირდებათ თავისუფალი დრო ახალი ადამიანების გასაცნობად, გამოცდილებების მისაღებად და ახალი ინტერესების აღმოსაჩენად გამოიყენონ. ახალი ამბავია არაა, რომ ერთ-ერთი გზა ამ მიზნის მისაღწევად საზაფხულო ბანაკებია, სადაც დროს მოზარდები თანატოლებთან ერთად ატარებენ, შექმნილია უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო მონაწილეთა შემეცნებით-შემოქმედებითი პოტენციალის განსავითარებლად, ჯანსაღი ცხოვრების წესის დასაწერად, ახალი უნარ-ჩვევების გამოსაშუაგებლად და სოციალური ურთიერთობების გასაუმჯობესებლად.

რეგულარულად წარმოუდგენელია მნიშვნელოვანი მოვლენები და სიახლეები. ბანაკის არეობის ყოველი დღის გარკვეული მონაკვეთი ილასა მუხუშუმს და მუხუშუმის ეზოს უკავშირდებოდა, რომლის ყოველდღიური სტუმრებიც გახდნენ ბანაკის ბავშვები. შეუმჩნეველი არ დარჩათ პატარებს თუ რა აღნიშნული უმასპინძლათ მუხუშუმის დირექტორმა ქალბატონმა თამარ ზურაბიშვილმა და ყველანაირი მხარდაჭერა გამოუცხადათ. პირველივე დღეს მუხუშუმის თანამშრომელი შორენა სეფაშვილი ესაუბრათ თემაზე-როგორ გავიცნოთ ილია ჭავჭავაძე კარგად.

ეს ზაფხული, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლით გამოირჩა ყვარელში. „დღის ბანაკი“ უნდადეს ორგანიზატორებმა იდე-

ილიას მუხუშუმის საექტო დარბაზში მოეწყო შეხვედრა საინტერესო ქალბატონთან, ფოტოხელოვან ნატა გონჩაროვასთან, სადაც ბავშვებს საშუალება ჰქონდათ ესაუბრათ ფოტო – კინო ხელოვნებაზე და ენახათ 25 წლის წინ გადაღებული დოკუმენტური ფილმი



გამოსვლას მქუხარე ტაშით ავიღებოდნენ. სამუხაროა, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმრავლესობას ინფორმაცია არ ჰქონდა ფესტივალის გამართვის შესახებ და შესანიშნავ ღონისძიებას ვერ დაესწრნენ.



**— როგორ შეირჩა მონაწილეები სხვადასხვა ქვეყნიდან?**  
— მიმდინარე წელს ვიდო მასალებზე დაყრდნობით და მათი საერთაშორისო არენაზე მიღებული გამოცდილების მოძიების საფუძველზე ჩვენს მიერ ფესტივალზე მოწვეულ იქნა ტალიანდის, სლოვაკეთის, ბულგარეთის, ბელორუსიის და უკრაინის ფოლკლორული ანსამბლები და ჯგუფები, ასევე დიდი ხნის მეგობრული ურთიერ-

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა როსტომ სესიაშვილმა, კულტურის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა მაია ზარდაიშვილმა და მისი სამსახურის მთლიანმა შემადგენლობამ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ეს დღე საინტერესოდ წარმართულიყო. დიდი მადლობა მიზნა მათ თქვენი გაზეთის საშუალებით გადგეცეთუშეა უნდა ვთქვა ისიც, რომ ახლოვანი ფესტივალი ასე დიდი რაოდენობით



ვეთ სახელდახელოდ მომზადებულ კითხვებზე გაეცა პასუხები.  
**— ბატონო ბადრი, ვისი ორგანიზებით გაიმართა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი საქართველოს მასშტაბით და რა მიზანს ისახავდა?**  
— მოგესალმებით ბატონო ალექსანდრე თქვენ და თქვენს გაზეთს და გისურვებთ წარმატებებს კეთილი საქმის კეთებაში.  
ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „ლეგენდების ქვეყანა“ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის ეგიდით დაფუძნდა 2016 წელს. ფესტივალის ცენტრად დღემდე რჩება მარტივის მუნიციპალიტეტი. ფესტივალის დარსების იდეის ავტორი და დღემდე ორგანიზატორი გახლავართ პირადად თქვენი მონა-მორჩილი ბადრი გვილაყა. ფესტივალის მიზანია ქართველი ერის ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესების, ტრადიციული ჩაცმულობის, მდიდარი ფოლკლორის პოპულარიზაცია. ანალოგიური ფესტივლებით მსოფლიო უკეთ გაიცნობს ჩვენს ზღაპრულ ქვეყანას, მის საინტერესო და ლეგენდარულ ისტორიას... ასევე ფესტივალი დიდად წაადგება ჩვენს ქვეყანას ტურიზმის განვითარების კუთხით.  
**— როდის გაიმართა პირველი ფესტივალი საქართველოში?**  
— პირველი ფესტივალი გაიმართა დასავლეთ საქართველოს ხუთ მუნიცი-



უცხოელი მონაწილეებით პირველი იყო დამდეგ მარტი, თუ ჩვენი თანამშრომლობა ამ კუთხით დაგრძელდება, უფრო ორგანიზებული და საინტერესო გახდება.  
მადლობა ყვარლის მოსახლეობას ფესტივალის პროგრამაში მასპინძლობის რაგები მოზარდებისათვის...  
**ესაუბრა ალექსანდრა გიგილიშვილი**



ფესტივალზე 22 ივლისს ტრადიციულად გაიმართა მარტივის მუნიციპალიტეტში და 23-24-25 ივლისს გაგრძელდა ხონის, აბაშის და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტებში.



ას, რომლის ავტორიც ქალბატონი მაგალი სააკიშვილი იყო და რომელიც წარმატებით განხორციელდა კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორის მაია ზარდაიშვილის ძალისხმევითა და ორგანიზებით. როგორც მათ აღნიშნეს ეს იყო საპილოტე ვარიანტი – როგორ გაამართლებდა ჩვენი მუნიციპალიტეტის სინამდვილეში მსგავსი ბანაკის არსებობა.  
მიუხედავად იმისა, რომ ბანაკის ცხოვრება მხოლოდ ოთხი დღეს მოიცავდა, მაინც ძალიან ბევრი, საინტერესო და სასიამოვნო მოვლენა მოიცვა. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა და ბანაკის მესვეურებიც და მისი პაპარა წევრებიც უბედნიერესები დატოვა.  
ყვარლის ბიბლიოთეკის კოპნია შენობაში დაიდეს ბინა ბანაკებზე. არაჩვეულებრივმა ქალბატონებმა: მაია ზარდაიშვილმა, მაგალი სააკიშვილმა და ნუნუ ლალიძემ სიამოვნებით იტვირთეს ბავშვებზე ზრუნვა, პედაგოგობა და მათთან მეგობრობა.  
ისტორიის ლექციით დაიწყო ბანაკის ცხოვრების პირველი დღე, სადაც მონაწილეთა პედაგოგმა ელისო ბუშელაშვილმა ყვარლის ისტორიის შესახებ მრავალი საინტერესო ისტორიული მოვლენა და ფაქტი გააცნო ბანაკის წევრებს. იმდენად საინტერესო თემა აღმოჩნდა ბავშვებისთვის ეს, რომ ლექციაში თავადაც აქტიურად ჩაერთვნენ და ერთგვარად დისკუსიის სახე მისცეს ლექციას.  
იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში ბავშვები მამა ბენიამენს ეწვივნენ, რომელმაც დალოცა ისინი, ესაუბრა ჭავჭავაძეების საგვარეულო ეკლესიის შესახებ.  
რათქმუნდა, დიდი ილიას და მისი სახლ – მუხუშუმის გარეშე, ყვარლის ცხოვ-

ყვარელზე. აქვე იყო მონაწილე ბანაკელებისთვის საგამოფენო სივრცე, სადაც მათ საშუალება ჰქონდათ ხატვისთვის განსაზღვრული საათები გაეტარებინათ და საკუთარი ნამუშევრები გამოეფინათ.  
შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებთან ერთად ბავშვები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გასართობ ღონისძიებებშიც. თამაშობდნენ ჭადრაკს და შაშს. ყოველდღიურად გამოყოფილი იყო კლასიკური მუსიკის ერთი საათი, როცა მაგალი მასწავლებლის საშუალებით ეცნობოდნენ ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებებს.  
მხიარული სტარტების დღე ყველაზე სახალისო და აქტიური გამოდგა ბანაკის ცხოვრებაში, რამაც დიდი წვლილი შეიტანეს ყვარლის სასპორტო სკოლის დირექტორმა ლევან მირიანაშვილმა და მწვეთნელმა ვანო გიგლაშვილმა.  
შეუძლებელია გამოარჩიო რომელიმე მომენტი ბანაკის ცხოვრების, რადგანაც ყველა აქტივობა თავისებურად გამოჩნეული და საინტერესო იყო. თუნდაც ბიბლიოთეკაში მონაწილეობა კარაოკე, სადაც მონაწილეთა პედაგოგმა, ანსამბლ „ანა-ბანას“ ხელმძღვანელმა მაია მამულაშვილმა ბავშვებთან ერთად დაუფინყარი ნუთები გაატარა.  
არანაკლები ინტერესი გამოიწვია მედიცინის საათმაც, სადაც მონაწილე იყო ექიმი სტომატოლოგი ლალი ლეკი-აშვილი. მან ტრენინგი ჩაუტარა ბავშვებს – როგორ უნდა მოუპოვო პირის ღრუს და დააღლინ ექიმთან ვიზიტის შიში. ბოლოს კი სერთიფიკატებიც გადასცა.  
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო ყველანაირად უწყობდათ ხელს ბანაკის

# ესპანეთში, ვეტიკანთა შორის ქიულდოში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, ვანო გიგიაშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა!



ესპანურ ლას პალმას გრან კანარიაში... ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ვეტერან ძიულდისტებს შორის, სადაც საქართველოს ნაკრებმა 8 მედალი – 3 ოქრო და 5 ბრინჯაო მოიპოვა. ერთერთი ოქროს მედალი მფლობელი გახდა ჩვენი თანამემამულე, ყვარლელი ვეტერანი ძიულდისტი ვანო გიგიაშვილი.

მისთვის პირველივე პაექრობა ნარმატეული გამოდგა, სადაც უკრაინელი მიხაილო კოშლიაკი დაამარცხა იპონიო. შემდეგ ფრანგი რაფელ ვოლპი და პოლანდიელი არსაკ დავითიანიც დაძლია და ფინალში გადავიდა. ფინალში კი, რუს მეტოქეს იური პინეგინს სძლია და ოქროს მედალს დაეუფლა. ამ დიდ ნარმატეებს მასთან ერთად ვულკოცავთ ყვარლელს და სრულიად საქართველოს.

გარდა იმისა, რომ ვანო, როგორც მწვრთნელი აქტიურად ჩართული ძიულდოში, ამის პარალელურად ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც 15 ოქტომბერს გაიმართება მაროკოში ვეტერან ძიულდისტებს შორის.

ნარმატეებს ვუსურვებთ მას!

ია გიგიაშვილი

# მიხეილ ბარქნიშვილი საერთაშორისო ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორია



7-10 აგვისტოს ქ. თბილისში ჩატარდა ვახტანგ ბალაგაძის და გივი კარტოვიას სახელობის დიდ საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ირანის, სლოვაკეთის, ყირგიზეთის, მაკედონიის, აზერბაიჯანის და საქართველოს უძლიერესი მოჭიდავეები. ტურნირში ყველა ქვეყნის 2-3 უძლიერესი სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას.

ჩვენი რაიონიდან საქართველოს სახელით მოსაპარეზე შილდელმა 19 წლის მიხეილ ბარქნიშვილმა (61 კგ. წონითი კატეგორია), ბრინჯაოს მედალისთვის დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ამერიკელი ჯონ მაკი. ნახევარ ფინალში ჩვენი სპორტსმენი მცირე ქულებით დაამარცხა აზერბაიჯანელი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთან პიბალინ გვაზარატილოვთან. მოუხედავად ამისა, ამერიკელ ჯონ მაკთან მესამე ადგილისთვის გამართულ ბრძოლაში მიხეილმა დამსახურებულად მოიპოვა ბრინჯაოს მედალი და ჩაირიცხა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში (მწვრთნელი მალხაზ როზომავილი და ვანო ჭანტურიძე).

ვუსურვებთ ნარმატეებს დიდ სპორტში 19 წლის მიხეილ ბარქნიშვილს.

დალი ტატულიშვილი

# ...უდავოა, რომ მსგავსი ტიპის საზოგადოებრივ განათლების არსებობა აუცილებელია



დასაწყისი მე-7 კვ. -ზე

წევრებს, რომ წაეკითხათ საყვარელი, საინტერესო წიგნები და შთაბეჭდილებები გაუზიარებინათ ერთმანეთს. აღსანიშნავია, ბიბლიოთეკის თანამშრომლის ნათია ოსეფაშვილის მიერ გამოჩენილი ყურადღება ბავშვების მიმართ. ერთერთი გამოჩენილი და დასამახსოვრებელი მომენტი იყო მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის მარანიში სტუმრობა, სადაც დიდი რეჟისორი ჯერ კიდევ თავის სიყმაწვილეში ოჯახის წევრებისა და ახლობლების მონაწილეობით სპექტაკლებს მართავდა. ნათიას ინიციატივით მოწყობილი წიგნების საათი, ის ბავშვებს ესაუბრა წიგნების კითხვის მნიშვნელობაზე, ურჩია მათ საინტერესო ლიტერატურა და ყურადღებით გაეცნო ბანაკელების შთაბეჭდილებებს „ჩემი საყვარელი წიგნი“ შესახებ.

გამორჩეული იყო უსაყვარლესი და ამადგარი ქალბატონის ზინაბ ჭიჭიკოშვილის ლექცია ლიტერატურის შესახებ, რომელიც ძირითადად წიგნის სიყვარულს და სწორად მეტყველებას ეხებოდა.

მნიშვნელოვანი იყო ილიას მუზეუმის ეზოში გამართული შეხვედრა შემოქმედებითი გაერთიანება „კალამოდანის“ წევრებთან და მათ ხელმძღვანელთან, პოეტ ლია გიგიაშვილთან. ნორჩ კალმოსნებს, ბევრი საინტერესო კითხვა დაუსვეს ბანაკელებმა. ეს ღონისძიება დიდი რაოდენობის სახით, განსხვავებული, საინტერესო და სახალისო გამოვიდა.

ბანაკის მრავალფეროვანი ღონისძიებების ნაწილი იყო ექსკურსია გრემისა და ნეკრესის მონასტერში, რამაც ბავშვების ინტერესი გაზარდა საკუთარი ქვეყნის ისტორიის და ბუნების მიმართ. მსგავსი დატვირთვა ჰქონდა მხატვარ ავთო სამუკაშვილიანს სტუმრობასაც ბუნების ნიაღში და მისი შემოქმედების გაცნობას.

ამ მრავალ საინტერესო აქტივობას

თან ახლდა ბანაკის ბავშვების მუშაობა კედლის გაზეთის გამოშვებაზე, რომელიც ძალიან საინტერესო გამოვიდა. სწორედ აქ აისახა მათი ბანაკში შექმნილი ცოდნა და შთაბეჭდილებები.

რაც არ უნდა დაგნებო, ალბათ სრულად ვერ გადმოვიცემ იმ აზრს და ემოციას, რომელიც გამოიწვია უსაყვარლესი ქალბატონების, ბანაკის მესვეურების – მია ზარდიაშვილის, მაგალი სააკაშვილის და ნუნუ ლალიძის მიმართ. მათი ერთობა და ბავშვებისადმი დამოკიდებულება, ასევე, მათი უდიდესი შრომა ამ პროექტის განხორციელებისთვის და ასეთი დაუფიქროვანი დღეების მოწყობისთვის სამაგალითოა. მათი დამსახურება, რომ ბანაკურმა ცხოვრებამ თითოეულ ბავშვს აღმოაჩინა საკუთარ თავში ახალი შესაძლებლობები. მაგრამ რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, რასაც განსაკუთრებულად აღნიშნავენ ეს ქალბატონებაც, ესაა საოცრად თბილი ურთიერთობები, რომელიც ბანაკის



უქმის მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას აუცილებელია ბანაკის ტიპის დანერგვით

ამაღმდეგელები იყო ქალბატონ მაგალი სააკაშვილის იდეა – ნატურის ხის სურვილების საფარად გამოიყენებოდა ბავშვების სურვილების მაგივრად, ნატურის ხეზე დაკიდებული თითოეული მათგანის ბარათში ერთი დიდი სურვილი იყო, რომ კიდევ გაგრძელებულიყო ბანაკის ცხოვრება. იმედია, მათ მომავალ ზაფხულს კიდევ აუხსრულდებთ ეს სურვილი და ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ჩვეულ გულისხმიერებას გამოიჩინებენ ამ საკითხთან დაკავშირებით.

მე კი, მიიწვი ბანაკის სულისჩამდგმელი ქალბატონების და მშობლების სახელით უდიდესი მადლიერება გამოვხატო ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ როსტომ სესიაშვილის მიმართ, რომლის მხარდაჭერის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ამ პროექტის განხორციელება.

ასევე, უდიდეს მადლობას ვუხდით არჩევნებში და გულისხმიერ ადამიანს, ბატონ მერაბ ფორცხალიაშვილს, რომელმაც საკუთარი სტუდიის საშუალებით აღბეჭდა ბანაკის ცხოვრება და ვიდეოს – ფოტომასალის სახით დაუწყო ყურადღება გვაჩუქა.

ია გიგიაშვილი



ბავშვებს შორის ჩამოყალიბდა ამ ოთხი დღის განმავლობაში.

ბავშვების დამეგობრებამ, ერთმანეთის მიმართ გამოჩენილი ყურადღებამ და ზრუნვამ უფროსებიც კი გააკვირვა. სწორედ ეს არის ის, რაც ყველაზე მეტად აკლია და სჭირდება დღეს მომავალ თაობებს და რისი სერიოზული დეფიციტიც არსებობს არა მხოლოდ ახალგაზრდა თაობებში, არამედ ზოგადად ურთიერთობებშიც. ეს ის პრობლემაა, რომელსაც სკოლა ჯერჯერობით ვერ წყვეტს. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ბანაკების არსებობა აუცილებლობას ნარმოადგენს, თუნდაც იმიტომ, რომ დღევანდელი ყოფიდან გამომდინარე ბევრი ოჯახი ვერ ახერხებს ბავშვისათვის გარემოს შეცვლას თუ აგარაკზე წაყვანას. შესაბამისად მათ აკლიათ ახალი ურთიერთობები, რომელიც პიროვნული განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

უდავოა – დღეს, როცა ასე მწვავედ დგას მოზარდების კომპიუტერზე მიჯაჭვულობის პრობლემა, რაც საფრთხეს



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად ავებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდება.

დირექტორი  
ალექსანდრა გიგიაშვილი  
მონადგმელი  
სუმბარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი  
ია გიგიაშვილი  
კორესპონდენტი  
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:  
ქ. ყვარალი, კუდიბორის №2  
საკონტაქტო ტელეფონი:  
22-01-86